სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

20 მარტი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/25

ბსუ-ში 2024-2025 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის 36 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების'', ,,ბსუ-ში 2024-2025 წლებში განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 12 თებერვლის №01-02/15 ბრძანების, საკონკურსო კომისიების ოქმების, აკადემიური საბჭოს რეგლამენტის და 2024 წლის 20 მარტის სხდომის ოქმის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 12 თებერვლის №01-02/15 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული კონკურსის შედეგად გამარჯვებულად გამოვლენილი და ბსუ-ში **2024 წლის 20 მარტიდან 2025 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით** განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები:

1.1. <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით:</u>

ა) **„სპექტროსკოპია ღვინის ავთენტიფიკაციიდან ერითროციტების ანალიზამდე"** - ხელმძღვანელი/მენეჯერი ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი **ნუგზარ ღომიძე,** ბიუჯეტი - 20.000 ლარი **(დანართი N1);**

ბ) **„აჭარა-ლაზეთის ენდემური მცენარეული სახეობების ციტოტოქსიკური და ანტიმიკრობული მოქმედების განსაზღვრა“** ახალგაზრდა მკვლევარი, ხელმძღვანელი/მენეჯერი ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი **დალი ბერიძე;** ბიუჯეტი- 9 990 ლარი **(დანართი N2).**

1.2. <u>მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით:</u>

გ) ,,ექვივარიანტული შეიპები და ჰომოლოგიები“- ხელმძღვანელი/მენეჯერი ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი **ვლადიმერ ბალაძე;** ბიუჯეტი - 19 500 ლარი **(დანართი N3);**

1.3. <u>ინჟინერიის, ტექნოლოგიების მიმართულებით:</u>

დ) „შეკუმშული ღეროების კრიტიკული ძაბვების მნიშვნელობის განსაზღვრა

მასალის მუშაობის დრეკად-პლასტიკურ არეში“ - ხელმძღვანელი/მენეჯერი - ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი **გაიოზ ფარცხალაძე;** ბიუჯეტი - 13 340 ლარი **(დანართი N4);**

1.4. <u>აგრარული მეცნიერებების მიმართულებით:</u>

ე) **„აჭარის რეგიონში მანდარინის ნარგაობით დაკავებული ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლება ბიოპრეპარატების გამოყენებით“** - ხელმძღვანელი/მენეჯერი ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **ნუნუ კუტალაძე;** ბიუჯეტი - 20 000 ლარი **(დანართი N5);**

ვ) **„ძაღლყურძენასებრთა ოჯახის კულტურებზე გავრცელებული Aternaria-ს გვარის აგრესიული სახეობების გამოვლენა და მათი გენომის გაშიფვრა ახალი თაობის ტექნოლოგიების გამოყენებით''** - ახალგაზრდა მკვლევარი, ხელმძღვანელი/მენეჯერი - ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი **რუსუდან დუმბაძე;** ბიუჯეტი - 10 000 ლარი **(დანართი N6).**

1.5. <u>ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით:</u>

ზ) **„მოსახლეობის სოციალური რისკების წარმომქმნელი ფაქტორების კვლევა და მართვის შესაძლებლობების შეფასება ინდივიდუალურ და სახელმწიფო დონეზე”** - ხელმძღვანელი/მენეჯერი ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი **ასიე ცინცაძე,** ბიუჯეტი - 20.000 ლარი (დანართი 7);

თ) **„ევროკავშირის სტანდარტები და მოთხოვნები მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების მიმართ და მათი იმპლემენტაციის შესაძლებლობა საქართველოში“.** ახალგაზრდა მკვლევარი, ხელმძღვანელი/მენეჯერი - ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი **გიორგი ქათამაძე** ბიუჯეტი - 9 900 ლარი **(დანართი N8);**

1.6. <u>ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით:</u>

ი) **„ფულადი მიმოქცევა და საბანკო საქმე XIX ს მეორე ნახევრისა და XX ს პირველი მეოთხედის ბათუმში”-** ხელმძღვანელი/მენეჯერი ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **ირინე ვარშალომიძე;** ბიუჯეტი - 16 750 ლარი **(დანართი N9**);

კ) **„დამოუკიდებელი საქართველო და ევროპა (1991-2003)”** ახალგაზრდა მკვლევარი, ხელმძღვანელი/მენეჯერი - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი **ლევან ტარიელაძე;** ბიუჯეტი - 10 000 ლარი **(დანართი N10);**

1.7. <u>სოციალური მეცნიერებების მიმართულებით:</u>

ლ) **„სტუდენტთა ადაპტაციის ფსიქოლოგიური ასპექტები: ადაპტაციის სირთულეები და მისი გავლენა სწავლის შედეგებზე“** ხელმძღვანელი/მენეჯერი -ბსუ-ს იურიდიული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის პროფესორი **ქეთევან ბერიძე;** ბიუჯეტი - 19 950 ლარი **(დანართი N11);**

მ) **„რუსული რბილი ძალა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში და საზოგადოებრივი აზრის ტრანსფორმაცია რეგიონში რუსეთ-უკრაინის ომის პარალელურად“** ხელმძღვანელი/მენეჯერი იურიდიული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **ლაშა ხოზრევანიძე** ბიუჯეტი - 10 000 ლარი **(დანართი N12);**

1.8. <u>მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებების მიმართულებით:</u>

ნ) ,,ალცჰაიმერის დაავადება გენეტიკური პოლიმორფიზმის გათვალისწინებით“ - ხელმძღვანელი/მენეჯერი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **შორენა ვაშაძე;** ბიუჯეტი - 20 000 ლარი **(დანართი N13);**

1.9. <u>ტურიზმის მენეჯმენტის მიმართულებით:</u>

ო) „სოფლად კერძო საკარმიდამოზე ტურიზმის ბიზნესის ინტენსიური და მდგრადი განვითარების ორგანზაციულ-ეკონომიკური მექანიზმების /ალგორითმების შემუშავება რეგიონალურ დონეზე მთიანი აჭარის სოფლების მაგალითზე“ - ხელმძღვანელი/მენეჯერი ტურიზმის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **ირაკლი კორძაია,** ბიუჯეტი - 20 000 ლარი **(დანართი N14).**

1.10. <u>ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულებით:</u>

პ) „აჭარა-გურიის თერმული წყლების და მათი თანმხლები აირების კვლევა, ბუნებრივი რესურსების მართვის მიზნით“ - ხელმძღვანელი/მენეჯერი ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **ნინო კიკნაძე;** ბიუჯეტი - 20 000 ლარი **(დანართი N15);**

2. ეთხოვოს უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების'' და ამ დადგენილებით დამტკიცებული გამარჯვებული პროექტების განხორციელების მიზნით, ბსუ-ს ბიუჯეტისა და გამარჯვებული პროექტების შინაარსის (აღწერილობა, კალენდარული გეგმა, ბიუჯეტი, პერსონალის თანხმობები) გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემა/შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება.

3. გამარჯვებული პროექტების ხელმძღვანელებს/მენეჯერებს დაევალოთ **დადგენილების გამოცემიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა წარუდგინონ** ბსუ-ს რექტორს პროექტის პერსონალის (თითოეულის ცალ-ცალკე) სამუშაო აღწერილობები, გასაცემი შრომის ანაზღაურების ოდენობის მითითებით, შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით.

4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე;

5. წინამდებარე დადგენილება დაეგზავნოს რექტორს, რექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და გამარჯვებული პროექტების ხელმძღვანელებს და განმახორციელებელი პერსონალს/ფაკულტეტებს).

6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**